კითხვები დამსაქმებლებისათვის
(სარეკომენდაციო კითხვარი)

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი ***სირთულეები,*** რომლებიც გხვდებათ ***ადამიანური რესურსების მოძიებისას.***

2. რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულების განათლება იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად?

3. რას მიიჩნევთ "ზედმეტად" – სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად არასაჭიროდ ჩვენი კურსდამთავრებულების განათლებაში?

4. რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად ჩვენი კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას?

5. თუ დაგჭირდათ ჩვენი კურსდამთავრებულების გადამზადება (მათთვის დამატებით ცოდნის/უნარ–ჩვევების გადაცემა) სად და რა ფორმით მოხდა ეს? რა დრო და ფინანსები დასჭირდა გადამზადებას?

6. ფიქრობთ თუ არა, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს აქვთ "ზეკვალიფიკაცია" – უფრო მეტი ცოდნა და უნარ–ჩვევები, ვიდრე ეს მათ სამსახურებრივ საქმიანობას სჭირდება? თუ „კი", მაშინ რატომ არიან ისინი დაკავებული ამ საქმიანობით და არა საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად?

7. როგორ ავრცელებთ ინფორმაციას ვაკანსიების/სამუშაო ადგილების შესახებ? (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია და ა. შ.), პირადი კავშირები და ა. შ.)

8. რა წესით ხდება თქვენთან კადრის შერჩევა ვაკანსიის დაკავებისას?

9. თქვენს ორგანიზაციაში რა კვალიფიკაციებზეა ძირითადად მოთხოვნა? ძირითადად, როგორ უზრუნველყოფთ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე ადამიანების მოძიებას?

10. გთხოვთ, მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები სასწავლო პროგრამებში, სტაჟირება და/ან პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში და ა. შ.)